

ავტობიოგრაფია

დავიბადე 1962 წლის 02 ივნისს, ლენტეხში. 1979 წელს დავამთავრე ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედის საშუალო სკოლა.

1990 წელს წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და განაწილებით დავინიშნე ცაგერის რაიონულ პროკურატურაში, სტაჟიორ-გამომძიებლად.

საქართველოს პროკურატურის ორგანოებში ვიმუშავე 2006 წლის ოქტომბრამდე. მათ შორის: 1990-92 წწ. სპეცპროკურატურაში გამომძიებლად, პროკურორის თანაშემწედ; 1992 წლის აპრილიდან სექტემბრამდე - ქ. თბილისის პროკურატურაში განყოფილების პროკურორის თანამდებობაზე; 1992 –95 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების პროკურორად; 1995—2004 წწ. მცხეთა--მთიანეთის საოლქო პროკურორის უფროს თანაშემწედ; 2004—2006 წწ. დუშეთის პროკურორის თანაშემწედ და ამავე პროკურატურის პროკურორად.

პროკურატურის ორგანოები დავტოვე 2006 წლის სექტემბერში, პირადი განცხადების საფუძველზე.

2006 წლის ოქტომბერში ჩავაბარე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები, სისხლის სამართლის სპეციალიზაციით (87 და 20 ქულა);

2007 წლის აპრილში გავწევრიანდი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, გავხდი ადვოკატი საერთო სპეციალიზაციით. იმავე წლის ოქტომბერში დავიწყე პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში (სეუ); 2008—2012 წლებში პედაგოგიურ საქმიანობას ვეწეოდი ილია ჭავჭავაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში, ვიყავი სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი-პროფესორი, პარალელურად ლექციებს ვკითხულობდი კოლეჯ „ეტალონში“, ასევე სამების სახელობის აკადემიაში.

2010 წელს ჩავირიცხე დოქტორანტურაში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. 2010-2015 წლებში გავიარე დოქტორანტურის თეორიული კურსი, წარდგენილი მაქვს ნაშრომი ხარისხის მოსაპოვებლად.

2014—2017 წლებში ვიყავი ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ლენტეხის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ამჟამად ვაგრძელებ საქმიანობას ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის პოზიციაზე და ადვოკატურაში. პარალელურად ვეწევი პედაგოგიურ საქმიანობას სამების სახელობის აკადემიაში (დირ. მამა გიორგი თევდორაშვილი) და „ევროპული განათლების აკადემიაში (დირ. პროფესორი ს. ჭიჭაღუა)

2002- 2018 წლებში გავიარე ტრენინგები სხვადასხვა სფეროში (სერთიფიკატები თან ერთვის); ჩაბარებული მაქვს პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა (100 დან 100ქულა).

2011-2014 წლებში გამომცემლობა „სამეცნიერო მიეზანი“ და სხვადასხვა რეიტინგულ ჟურნალებში გამოცემული მაქვს სტატიები სასჯელის მიზანზე; არასრულწლოვანთა დანაშაულებზე და ა. შ.

2009 წელს ზურაბ ქაფიანიძესთან ერთად დავაფუძნე საზოგადოებრივი ორგანიზაცია „შუმერი“.

2010—2015 წლებში რეჟისორ სპარტაკ ფარჯიანთან ერთად გადავიღე დოკუმენტური ფილმი, “სვანეთი-- კულტურული მემკვიდრეობის საუნჯე“ (ვარ იდეისა და ტექსტის ავტორი).

პროფესიული საქმიანობის ფარგლებში ვმონაწილეობ სხვადასხვა კონფერენციებში, მიღებული მაქვს დიპლომები (იხ. დანართი); საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს პარლამენტში გაგზავნილი მაქვს რამდენიმე წინადადება საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელთაგან ნაწილი გაზიარებულ იქნა.

ვარ ჩანქსელიანებისა და ჩარქსელიანების საგვარეულო კავშირის წინამძღოლი. ვცხოვრობ თბილისში. მყავს სამი შვილი.

მაიზერ ჩანქსელიანი